GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 590
თარიღი: 10 09 2014 წ.

GRASS REFORMANDA

სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალნატონო/ბატონო,

„საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის“ 37-ე მუხლისთანახმად, ამავეკოდექსის მე-40 მუხლითდადგენილვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთშემდეგისახისსაჯაროინფორმაცია:

2014 წელს დასრულდა იმ ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის შესწავლა, რომლებიც საქართველოში მეტადონით ჩანაცვლების პროგრამას ახორციელებენ. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გვაცნობოთ შემდეგი:

- კონკრეტულად რომელი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა განახორციელა სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტომ (გთხოვთ, მოგვაწოდოთ ყველა ორგანიზაციის ჩამონათვალი. ამასთან, მიგვითითოთ, რომელი მათგანია სახელმწიფო და რომელი კერძო)?
- აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის რომელი წლების შესწავლა განხორციელდა თქვენ მიერ?
- როგორ ნაწილდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა აღნიშნულ ორგანიზაციებში (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?
- თანხის რა ნაწილი ირიცხებოდა კერძო ინსტიტუტებში (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ, შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?
- თანხის რა ნაწილი ირიცხებოდა სახელმწიფო ინსტიტუტებში (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?
- როგორ ხდებოდა აღნიშნული ინსტიტუტების მიერ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხის გამოყენება (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლებისმიხედვით ცალ–ცალკე)?
- თანხის რა ნაწილი იხარჯებოდა კერძო ინსტიტუტების მიერ ადმინისტრაციულ რესურსებზე (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?
- თანხის რა ნაწილი იხარჯებოდა კერძო ინსტიტუტების მიერ უშუალოდ პაციენტების მკურნალობა–რეაბილიტაციაზე (გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?

- თანხის რა ნაწილი იხარჯებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ადმინისტრაციულ რესურსებზე (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლებისმიხედვით ცალ–ცალკე)?

- თანხის რა ნაწილი იხარჯებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ უშუალოდ პაციენტების მკურნალობა რეაბილიტაციაზე (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მიხედვით ცალ–ცალკე)?

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე
„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორი

მისამართი:
თბილისი, რაზმაძის ქ. #15

საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge
nataliavakhtangashvili@gmail.com